ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1432443

ნომერი: AR1243595

თარიღი : 11.08.2014

გაცემის თარიღი : 02.09.2014

გაცნობის თარიღი : 11.09.2014

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა I ხეივანი , II შესახვევი , (ნაკვ. 5/63) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თემურ ფიფია პ/ნ 01026008690
- თბილისი ს.ჩიქოვანის ქ. N 79

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2014 წლის 11 აგვისტოს #AR1243595 განცხადებით მომართა თემურ ფიფიამ და მოითხოვა ამავე სამსახურის 17.07.2013 წლის #796701 ბრძანებაში ცვლილების შეტანა დამკვეთთან დაკავშირებით, კერძოდ: დამკვეთად თემურ ფიფიასთან ერთად ჰანელორე მარია ტიოლკეს მითითება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 17.07.2013 წლის #796701 ბრძანებით ქ. თბილისში, სექტორი–კრწანისი, ქუცა I ხეივანი, II შესახვევი (ნაკვ. #5/63) მოქ. თემურ ფიფიას და ჰანელორე მარია ტიოლკეს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი #01.18.05.005.063) შეთანხმდა ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა, რომლის მოქმედების ვადა განისაზღვრა 2013 წლის 16 ივლისიდან 2014 წლის 16 იანვრის ჩათვლით.

საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად, საპროექტო მიწის ნაკვეთის მესაკუთრეებს წარმოადგენენ თემურ ფიფია და ჰანელორე მარია ტიოლკე (განაცხადის #882014397804, ამონაწერის მომზადების თარიღი: 29/07/2014, საკადასტრო კოდი: #01.18.05.005.063).

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 20-ე მუხლის თანახმად, დამკვეთს პირველ და მეორე სტადიაზე წარმოადგენს განმცხადებელი, ხოლო მესამე სტადიაზე დამკვეთი შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული ან ასაშენებელი შენობა-ნაგებობების მესაკუთრე, მოსარგებლე, ან მისი/მათი უფლებამოსილი პირი, რომელსაც აქვს ობიექტის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ვინაიდან დღეის მდგომარეობით 17.07.2013 წლის #796701 ბრძანება, მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადის გასვლის გამო, მშენებლობის ნებართვის ნაწილში წარმოადგენს ძალადაკარგულ აქტს, ხოლო პროექტის შეთანხმების სტადიაზე ნებართვის გამცემი ორგანო არ იკვლევს სამშენებლო მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლებას (მოქმედი კანონმდებლობის თანახმად მშენებლობის ნებართვის გაცემის მეორე სტადიაზე დამკვეთს წარმოადგენს განმცხადებელი), სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას ცვლილება შეიტანოს აღნიშნულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში, დამკვეთის შეცვლასთან დაკავშირებით. თუმცა წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სამსახური ადასტურებს, რომ თემურ ფიფიას და ჰანელორე მარია ტიოლკეს საკუთრებაში არსებული ქონების სამშენებლოდ განვითარების შემთხვევაში დამკვეთებად შესაძლებელია დაფიქსირდნენ მესაკუთრეები ან/და მათ მიერ უფლებამოსილი პირი.